

ლადო პაპავა ხელისუფლებასა და ოპოზიციას გამოსავალს სთავაზობს

„საქართველოს ჩასაბარებელი აქვს მორიგი გამოცდა დემოკრატიულობაზე“

გაზეთი “რეზონანსი” – 1 აპრილი, № 082, 2009

ქვეყანაში შექმნილია რთული სიტუაცია. 9 აპრილის მოახლოებასთან ერთად პოლიტიკური დაძაბულობა ყოველდღიურად მატულობს, ოპოზიცია არ აპირებს დათმობაზე წასვლას, ხოლო პრეზიდენტს არ ეტყობა, რომ გადადგომას აპირებდეს. ამ და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე და იმაზე, თუ არსებობს ქვეყანაში ძალა, რომელსაც შეუძლია პოლიტიკური სიტუაციის განმუხტვა, „რეზონანსი“ ლადო პაპავას ესაუბრა.

„რეზონანსი“: ბატონო ლადო, დღეს ხელისუფლება აცხადებს, რომ ის მზადაა ოპოზიციასთან დიალოგის გასამართად. როგორ მიგაჩნიათ, დათანხმდება თუ არა ამას ოპოზიცია?

ლადო პაპავა: მე მრჩება შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლებას უნდა დიალოგის დაწყება დროის გასაჭიანურებლად. დიალოგი – დიალოგისათვის, უბრალოდ, უაზრობაა. შეუძლებელია, ოპოზიციამ დაიწყოს საუბარი 2013 წელს გასატარებელ საკონსტიტუციო ცვლილებებზე, ან ეკონომიკური კრიზისის დაძლევაზე, რადგანაც თუკი ოპოზიცია ამ თემებზე დაიწყებს ხელისუფლებასთან დიალოგს, ის კიდევ ერთხელ დაკარგავს ხალხის ნდობას.

„რ“: გამოდის, რომ არ არის გამოსავალი. თქვენ ასე უიმედოდ ხართ და ფიქრობთ, რომ ოპოზიციასა და ხელისუფლებას საერთო ენის გამონახვა არ შეეძლებათ?

ლ.პ: ჩემი აზრით, არის ერთი მოდელი, რომელიც ოპოზიციისათვის მისაღები უნდა იყოს და პრეზიდენტისათვისაც. კერძოდ, კონსტიტუციაში სასწრაფოდ უნდა შევიდეს ცვლილება და პრეზიდენტს უნდა ჩამოერთვას ქვეყნის

უშუალო მართვის ფუნქცია, რომელიც უნდა გადაეცეს მთავრობას, რომელსაც დაამტკიცებს ახლად არჩეული პარლამენტი. სხვა სიტყვებით, მე ვთავაზობ საპარლამენტო რესპუბლიკის შუალედურ მოდელს, როცა ქვეყანას მართავს პარლამენტის მიერ დამტკიცებული მთავრობა, ხოლო როგორც ქვეყნის ერთიანობის სიმბოლო, საქართველოს ეყობა არა პარლამენტის მიერ არჩეული პრეზიდენტი, არამედ ის პრეზიდენტი, რომელიც ამჟამად ახორციელებს პრეზიდენტის ფუნქციას. ამ ვითარებაში 2009 წელს ასარჩევი პარლამენტი დაამტკიცებს მთავრობას, რომლის ხელმძღვანელიც ანუ პრემიერ-მინისტრი იქნება ქვეყნის პირველი პირი, ხოლო მიხეილ სააკაშვილს ერქმევა პრეზიდენტი, ქვეყნის მართვის რეალური ბერკეტების გარეშე. 2013 წელს კი სრულად გადავალთ საპარლამენტო რესპუბლიკაზე, ანუ 2013 წელს არჩეული პარლამენტი თვითონ აირჩევს ქვეყნის პრეზიდენტსაც. ამ მოდელის თანახმად, სააკაშვილის ამბიციას, იყოს პრეზიდენტი, არის დაკმაყოფილებული, ხოლო ოპოზიციის მოთხოვნა, სააკაშვილი ჩამოშორდეს ქვეყნის მართვას – სრულად რეალიზებადი.

„რ“: რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ამ მოდელის გატარება?

ლ.პ: ამ მოდელზე დიალოგი, ჩემი აზრით, ნამდვილად იქნებოდა კონსტრუქციული. იმავდროულად ვეჭვობ, სააკაშვილის გარემოცვა დათანხმდეს ამ სქემას. თვითონ სააკაშვილი თანახმაც რომ იყოს, სააკაშვილისათვის ფუნქციების ჩამორთმევა მისი გარემოცვისათვის თანამდებობათა დაკარგვის ტოლფასია. ამიტომ ვეჭვობ, რომ სკამებს გამოკიდებული სააკაშვილის გარემოცვა თანახმა იყოს ჩემს მიერ შემოთავაზებულ მოდელზე.

„რ“: როგორ აფასებთ რუსეთის ფაქტორს?

ლ.პ: მოსკოვი აგვისტოს მოვლენებიდან მოყოლებული ღიად მოითხოვს პრეზიდენტ სააკაშვილის გადადგომას. ეს ხელისუფლებას აძლევს იმის საშუალებას, ოპოზიციას დაადანაშაულოს, რომ ოპოზიციის ცალკეული წევრები მოსკოვის დაკვეთას ასრულებენ და ამას ხელისუფლება უწყვეტ რეჟიმში აკეთებს კიდევ. ჩემს მიერ ზემოთ შემოთავაზებული მოდელის შემთხვევაში, როდესაც მიხეილ სააკაშვილი რჩება საქართველოს უფუნქციო, მაგრამ მაინც პრეზიდენტად, სიტუაცია მოგვცემს იმის საფუძველს, რომ ფორმალურად მოსკოვის მოთხოვნა არ იქნეს დაკმაყოფილებული. ისე კი, ნუ დაგვავიწყდება, რომ სწორედ სააკაშვილის

მთავრობაში ოდიოზური კახა ბენდუქიძის ხელმძღვანელობით მიეცა რუსულ კომპანიებს სტრატეგიული ობიექტები და ფაქტია, რომ ამას ვერც რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომმა შეუშალა ხელი.

„რ“: როგორ ფიქრობთ, რა ზეგავლენა ექნება აპრილის მოვლენებს ეკონომიკაზე?

ლ.პ: რა თქმა უნდა უარყოფითი, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ საპროტესტო ტალღას სული სწორედ მთავრობამ შთაბერა თავისი უგუნური საქციელით.

„რ“: როგორ შეაფასებდით ზოგიერთი ქართველი ბიზნესმენის ინიციატივას საფინანსო ამნისტიის გამოცხადებასთან დაკავშირებით?

ლ.პ: ერთმნიშვნელოვნად უარყოფითად, რადგან საფინანსო ამნისტია ანგრევს ქვეყანაში ფინანსურ წესრიგს. გადასახადის წესიერი გადამხდელიც იწყებს ფიქრს, ხომ არ აჯობებს, დააგროვოს დავალიანებები და შემდგომ პოლიტიკურ ციკლში მასაც ჩამოაწერენ ამ გადასახადებს. მსოფლიოში არა ერთი განვითარებადი ქვეყანაა, სადაც 5-10 წლის პერიოდულობით ტარდება საფინანსო ამნისტია. თუ საფინანსო ამნისტია იქნება გატარებული, ეს შექმნის იმის ობიექტურ საფუძველს, რომ მომავალში, როცა იქნება არჩევნები, ან, ღმერთმა დაგვიფაროს, კვლავ დადგება პოლიტიკური კრიზისი, საფინანსო ამნისტია ისევ იქნება გამოსაცხადებელი. ისე, ერთი კია – იმ ბიზნესმენებს, რომლებმაც ხალხის ხარჯზე აღებული და დროზე დაუბრუნებელი კრედიტით დაიწყეს ბიზნესი, ხოლო 2002 წელს შევარდნაძისათვის მესამე ვადით პრეზიდენტის არჩევის უფლებას ითხოვდნენ, როგორ არ რცხვენიათ, რომ დღესაც ცდილობენ, იაქტიურონ და თანაც – ქართული სახელმწიფოს საზიანოდ.

„რ“: თუ არსებობს ქვეყანაში ძალა, რომელსაც შეუძლია პოლიტიკური სიტუაციის განმუხტვა?

ლ.პ: ერთადერთი ინსტიტუტი, რომელსაც აქვს საყოველთაო ნდობა, ეს დედა ეკლესიაა. საქართველოს პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს ქვეყნის ძნელბედობის უამს არა ერთხელ უჩვენებია ქვეყნისათვის სწორი გზა. ვფიქრობ, დღეს კიდევ ერთხელ აღმოჩნდა ქვეყანა იმ უფსკრულის პირას, როცა ერმა უნდა დაუჯეროს მის სულიერ მამას.

„რ“: როგორ მიგაჩნიათ, ჩაერევიან თუ არა საქართველოში შექმნილ ვითარებაში ჩვენი დასავლელი მეგობრები?

ლ.პ: საქართველოს ჩასაბარებელი აქვს მორიგი გამოცდა დემოკრატიულობაზე. მე მინდა, მჯეროდეს, რომ ხელისუფლებას ეყოფა სიბრძნე და თოფს არ გაისვრის. თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ ხალხში არა ერთი პროვოკატორი იქნება გარეული, ხოლო კრიმინალებისათვის შეიძლება დადგეს იდიალური დრო. ამიტომაც არა მარტო ოპოზიციის ლიდერებს, არამედ თითოეულ მოქალაქეს დასჭირდება, გამოიჩინოს სიბრძნე და სიფხიზლე. თუ ჩვენ, ქართველი ხალხი, არ გამოვალთ კანონის ფარგლებიდან და პროცესები წარიმართება დემოკრატიულად, მაშინ საქართველოს კვლავ უნდა ჰქონდეს დასავლეთის მხარდაჭერის იმედი. ვაშინგტონისთვისაც და ბრიუსელისთვისაც მნიშვნელოვანია, საქართველოში შენარჩუნებული იქნას სტაბილურობა, მაგრამ არა ნებისმიერ ფასად – აუცილებელია, რომ ამ სტაბილურობის უკან დემოკრატიული პროცესები არ შეიღახოს.

ია აბულაშვილი